



შვიდი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	132
ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	56
წინადადებებში სიტყვების საშუალო რაოდენობა	4
გვერდების რაოდენობა	7
კითხვის დონე:	VI
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტი უკავშირდება ციფრ შვიდს და წარმოდგენილია ციფრ შვიდთან დაკავშირებული საგნები თუ მოვლენები.

გაკვეთილის მიზანი:

გაგება / გააზრება:

- ტექსტის მთავარი იდეისა და დეტალების ამოცნობა;
- კვირის დღეების, ფერების, მიმართულებების და ნოტების სწავლება
- ტექსტის თანმიმდევრობის პროგნოზირება და ამოცნობა;
- ციფრების გამეორება და განმტკიცება;
- „შ“ ასო-ბგერის გააქტიურება და განმტკიცება;
- რიგობითი რიცხვითი სახელების სწავლება

ლექსიკა და გრამატიკა:

ფონეტიკა	გრამატიკა	ლექსიკა
ასო-ბგერა შ-ს გააქტიურება .	<ol style="list-style-type: none"> რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოების სწავლება; ვარჯიში რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებით წინადადებების შედგენაზე. 	<ol style="list-style-type: none"> კვირის დღეების აღმნიშვნელი ლექსიკის სწავლება (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა); ფერების სწავლება (წითელი, ყვითელი, ლურჯი, იისფერი და ა.შ.); ადგილის ზმნიზედების სწავლება (მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით, წინ, უკან, შუაში მუსიკალურ ნოტებთან დაკავშირებული ლექსიკის სწავლება (დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი).

რესურსები:

- წიგნი - „შვიდი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეტბუკების გამოყენებით ჩვენება;
- დაფა, ცარცი;
- ბარათები დისკუსიისათვის;
- სამუშაო ფურცლები.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ თავიანთი საყვარელი ციფრი. ჩამოწერეთ დაფაზე ბავშვების მიერ ჩამოთვლილი ვარიანტები. ბავშვების მიერ ჩამოთვლილ რიცხვებზე სთხოვეთ, დაუკავშირონ რაიმე მოვლენას, საგანს, ფაქტს: მაგალითად ცხრა მთა და ცხრა ზღვა, ცხრაკლიტული, ოთხი ბორბალი და ა.შ.
2. აჩვენეთ მოსწავლეებს წიგნი, მისი სათაური და ჰკითხეთ, რის შესახებ შეიძლება იყოს წიგნი, რით არის განსაკუთრებული რიცხვი „შვიდი“, რა ასოციაციები აქვთ ციფრ „შვიდთან“, რა ახსენდებათ, რატომ უყვართ ან არ უყვართ ციფრი „შვიდი“... შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რას ფიქრობენ, რის შესახებ შეიძლება იყოს წარმოდგენილი წიგნი.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

1. სთხოვეთ ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი. ტექსტის წასაკითხად შეგიძლიათ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ. სთხოვეთ ბავშვებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. სთხოვეთ ბავშვებს, რიგრიგობით, გაგრძელებით წაიკითხონ ტექსტი ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული პროცესში, ან სთხოვეთ ერთ ბავშვს, რომ წაიკითხოს და სხვა ბავშვებმა კი გაიმეორონ ტექსტი. არჩეული სტრატეგია დამოკიდებულია მასწავლებელზე და კონკრეტულ კონტექსტზე, მოსწავლეების რაოდენობაზე კლასში და მათ საჭიროებებზე.

გრამატიკა - რიგობით რიცხვით სახელებზე მუშაობა / გააზრება

ტექსტში სხვადასხვა ადგილას ოთხჯერაა წარმოგენილი პირველიდან შვიდამდე რიგობითი რიცხვითი სახელი. შესაბამისად, ამ გაკვეთილის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლებაა და, პარალელურად, ტექსტის გააზრებაზე მუშაობა.

დაფაზე ცარცით დახატეთ ცხრილი, რომელიც ორ სვეტად იქნება დაყოფილი. ცხრილის პირველ ნაწილში ჩასვით რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ხოლო მეორე ნაწილი ცარიელი დატოვეთ და გონებრივი იერიშის საშუალებით მოსწავლეებს დაასახელებინეთ დაფაზე მოცემული რაოდენობითი რიცხვითი სახელის შესატყვისი რიგობითი რიცხვითი სახელი:

რაოდენობითი რიცხვითი სახელები	რიგობითი რიცხვითი სახელები
ერთი	
ორი	
სამი	
ოთხი	
ხუთი	
ექვსი	
შვიდი	

აღნიშნული დავალების შემდეგ მოსწავლეები გაყავით ოთხ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს მიეცით სამუშაო ფურცლები. სულ ოთხი სამუშაო ფურცელი და ოთხი ჯგუფი: (ა) კვირის დღეების; (ბ) ცისარტყელას ფერების; (გ) ადგილმდებარეობის; (დ) ნოტების ჯგუფი. ქვემოთ გთავაზობთ მოსწავლეებისთვის ჯგუფების მიხედვით დასარიგებელ სამუშაო ფურცლებს:

(ა) კვირის დღეების ჯგუფი

რიგობითი რიცხვითი სახელები	კვირის დღეები
	სამშაბათი
	შაბათი
	ხუთშაბათი
	კვირა
	ოთხშაბათი
	ორშაბათი
	პარასკევი

სთხოვეთ „კვირის დღეების ჯგუფს“, კვირის შესაბამის დღეებს მიუწერონ შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.

(ბ) ცისარტყელას ფერების ჯგუფი

რიგობითი რიცხვითი სახელები	ცისარტყელას ფერები
	იისფერი
	წითელი
	ლურჯი
	ნარინჯისფერი
	ცისფერი
	მწვანე
	ლურჯი

სთხოვეთ ჯგუფს, ფერებს მიუწერონ შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორც ეს ტექსტში მოცემული.

(გ) ნოტების ჯგუფი

რიგობითი რიცხვითი სახელები	ცისარტყელას ფერები
	ფა
	დო
	მი
	რე
	სი
	სოლ
	ლა

სთხოვეთ ჯგუფს, ნოტებს მიუწერონ შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორც ეს ტექსტში მოცემული.

(ბ) მიმართულებების ჯგუფი

რიგობითი რიცხვითი სახელები	ადგილმდებარეობა
	შუაში
	მარჯვნივ
	უკან
	ქვევით
	წინ
	ზევით
	მარცხნივ

სთხოვეთ ჯგუფს, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს (ადგილის ზმნიზედებს) მიუწერონ შესაბამისი შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორც ეს ტექსტში მოცემული.

ლექსიკა

ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებზე მუშაობა:

1. დაწერეთ დაფაზე ტექსტში მოცემული ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები (ადგილის ზმნიშედები): **მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით, შუაში.** ივარჯიშეთ მოსწავლეებთან ერთად ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაზე: დაუბრუნდით სურათების ჩვენებას. აჩვენეთ მათ კიდევ ერთხელ ის სურათები, სადაც გამოსახული იყო ადგილმდებარეობა;

კითხვის შემდგომი აქტივობები:

1. ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეეცადეთ გადაამოწმოთ, რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა ტექსტი. სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენონ, თუ რასთან არის კიდევ დაკავშირებული ციფრი შვიდი (მაგალითად შვიდი ჯუჯა, შვიდი და-ძმა, შვიდი სართული, შვიდი იანვარი და ა.შ.);
2. სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარ რვეულში ჩამოწერონ კვირის დღეები და გვერდზე მიუწერონ ამ დღესთან დაკავშირებული მოვლენა (ეს შეიძლება იყოს სასწავლო კვირის დასაწყისი, დასასრული, დასვენების დღე, რომელიმე კლასგარეშე აქტივობის დღე (ცეკვა, სიმღერა, სპორტი და ა.შ), სატელევიზო შოუს დღე ან ნებისმიერი მოსწავლის ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული დღე. დაუწერეთ ერთი დღის მაგალითი ნიმუშად:

ორშაბათი	სასწავლო კვირის პირველი დღე
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	

შაბათი	
კვირა	

- დადექით კლასის ცენტრში. დაიწყეთ მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით, სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან თქვენი ადგილმდებარეობა. შეგიძლიათ ამ თამაშში ჩართოთ უშუალოდ მოსწავლეებიც და ისინიც გადაადგილდნენ სხვადასხვა წერტილში, ხოლო სხვა მოსწავლეებმა დაასახელონ ეს ადგილი (მარჯვნივ, შუაში, მარცხნივ...);
- გაგებისა და მათემატიკური უნარების განვითარების შესამოწმებლად, კითხვის შემდგომ აქტივობად მოსწავლეებს მიეცით სამუშაო ფურცელი ტექსტით და ტექსტში გამოტოვებული რიგობითი რიცხვითი სახელით და სთხოვეთ, გამოტოვებულ ადგილას ჩაწერონ შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელი. ამასთანავე, რიგობითი რიცხვითი სახელი არ მიაწოდოთ პირდაპირი თანმიმდევრობით, არამედ არეულად. მოსწავლემ რაოდენობით რიცხვით სახელთან ლოგიკური დაკავშირებით უნდა შეძლოს სწორი და შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელის ჩაწერა. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ მცირე ტექსტს, თუმცა, მსგავსი ტექსტი თქვენთვის საინტერესო და მოსწავლეთა ცოდნასა და საჭიროებებზე გათვლით, თქვენვე შეგიძლიათ შეადგინოთ:

ჩვენი სკოლელები

- გოი ექვსი წლის არის. ის *პირველ* კლასშია. ნინო შვიდი წლისაა. ის კლასშია. რამინი ცხრა წლისაა. ის კლასშია. ელმირა თერთმეტი წლისაა. ის კლასში. ანა რვა წლისაა. ის კლასში. საშა ათი წლისაა. ის კლასშია. დავითი თორმეტი წლისაა. ის კლასშია.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს, სახლში შეადგინონ მსგავსი ტექსტი სხვა ციფრზე, მაგალითად - სამზე, ოთხზე, ხუთზე, ან ცხრაზე. გამოყონ ტექსტის მთავარი იდეა. ჩამოთვალონ, რას უკავშირდება თითოეული რიცხვი. ტექსტის შედგენისას გამოიყენონ რიგობითი რიცხვითი სახელები. ტექსტის შედგენისას ყურადღება მიაქციონ ტექსტის ლოგიკურ თანმიმდევრობას.